# ჩანგი

№ 32

სამშაბათი, 11 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ სადამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. სადამოს 2 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ საკითხებზე წერილების შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილების პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань“, Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.



გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ხ. ა. ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ხ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—33



ამა წლის 20 აგვისტოს დანიშნულია ჩოხატაურის მეეტლეთა ყოფილ ამხანაგობის

## კრება.

ვთხოვთ გამოცხადდენ ყველა „პაიშნიკები“ და ჩაიბარონ ანგარიში. მანამ კი ფულისთვის ნუ მიმართავენ ჩვენს მიერ არჩეულ კასირს ალექსი სიხარულიძეს. (2—1)

ვლადიმერ თავბერიძე, გიგო ძნელაძე



ქ. ქუთაისში

## თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

## „გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. მასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—1)


## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო

**სოხუმი.** ვეამბორები ძვირფას სევერიანეს გაციებულ გვამს

ანთიმოზი.

—

**ბიბი-ეიბათი.** ვსტირი ძვირფას სევერიანეს დაკარგვას.

მაქსიმე.

—

**ალექსანდროპოლი.** ალექსანდრა ჯუღელს. გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას ძვირფას სევერიანეს დაკარგვის გამო.

ფიცხელაური.

—

**ყვირილა.** ალ. ჯუღელს. თქვენთან ერთად დავსტირით ძვირფას სევერიანეს საფლავს.

სკირელი ნაცნობ-ამხანაგები

—

**თიანეთი.** ალ. ჯუღელს. გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას ძვირფას სევერიანეს დაკარგვის გამო. ვსწუხვართ, რომ არ ძალგვიძს დავესწროთ დასაფლავებას.

პარასკევა, ვერა, ნინა, იოსებ, გრიგოლ და მიხეილი.

—

**თიანეთი.** ალექსანდრა ჯუღელს. ღრმათ დაგვამწუხრა თქვენმა უბედურებამ.

პარასკევა.

—

**ნატანები.** ვაცხადებთ ღრმა მწუხარებას ყოფილ დეპუტატ სევერიანეს დაკარგვის გამო.

სუფსელი ამხანაგები.

—

**პეტერბურგი.** ვგლოვობთ უდროოთ დაკარგულ ამხანაგ სევერიანეს. მესამე სახელმწიფო დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შეამკეთ გვირგვინით განსვენებულის კუბო.

კარლო ჩხეიძე

—

**ოზურგეთი.** ვაცხადებთ ღრმა მწუხარებას ძვირფას სევერიანეს დაკარგვის გამო.

ოზურგეთის ამხანაგები

—

**ოზურგეთი.** გულ დამწვარი ვართ ჩვენი ინტერესების დამცველ სევერიანე ჯუღელის მოულოდნელათ დაკარგვის გამო.

„კომპანიის“ მეეტლეები.

—

**ფოთი.** არ მომკვდარხარ შენ ხალხის ღირსეულო შვილო, ძვირფასო სევერიანე, შენი დაუღალავი შრომა ნაყოფს გამოიღებს

ფოთელი ნოქარი.

—

**სევასტოპოლი.** თავზარი დაგვცა სევერიანეს სიკვდილმა.

ცილია—ბოლა

—

**ბაკურიანი.** გული დაგვითუთქა ძვირფას სევერიანეს დაკარგვამ.

მარო, თამარა, სონა და გრუნია

—

**ნიგოითი.** ვწუხვართ ძვირფას ამხანაგ სევერიანეს დაკარგვას..

მონდობილობ ით სერგო.

—

**ფოთი.** გული დაგვწვა თავდადებულ მებრძოლ სევერიანეს დაკარგვამ.

მარგანეცის გემზე მომუშავეები

**მიხაილოვო.** მიხაილოვის ბუფეტის მუშები ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ სევერიანე ჯუღელის დაკარგვის გამო.

—

**მიხაილოვი.** ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ ნამდვილ მებრძოლ სევერიანე ჯუღელის დაკარგვის გამო.

მიხაილოვის დეპოს მუშები.

—

**ბათომი.** ღრმათ დამწუხრებულნი ვართ ძვირფას სევერიანე ჯუღელის დაკარგვის გამო.

ბელაგორში ბუფეთის მოსამსახურე მეგრელიშვილი, კუკულავა და დოლიძე.

—

**თიანეთი.** თიანეთის საზოგადოება და მცხოვრებნი ღრმათ დამწუხრებულნი ვართ, ჩვენი ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვის გამო. დღეს პანაშვიდი გადავიხადეთ.

ყოფილი ამომრჩეველი ძებნიაური.

—

**ბათუმი.** თავზარი დამცა, სევერიანეს მოულოდნელმა სიკვდილმა. ვუცხადებ ღრმა მწუხარებას ოჯახს და ნაცნობ-მეგობრებს.

ივანე კალანდაძე.

—

**ბაქო.** მუსა ნაგიევის მუშები ვაცხადებთ ღრმა თანაგრძნობას ჩვენი ინტერესების დამცველ სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვის გამო.

—

**ბაკურიანი.** თავზარი დაგვცა სევერიანეს სიკვდილმა.

ლეო, გრ. ურატაძე, თ. მაღრაძე, წოლაძე

—

**ხონი.** ვუერთებთ საერთო მწუხარებას, ჩვენსას სევერიანეს უდროოთ დაკარგვის გამო.

ვარლამ ხუროძე, ილია ბახტაძე და ილია რუხაძე.

—

**ხონი.** ვგლოვობ, ამხანაგ სევერიანეს დაკარგვას.

ბადრო.

**სიღნაღი.** მეხივით დამეცა ძვირფას სევერიანეს სიკვდილის ამბავი. ვსტირი მას.

ტერენტი.

—

**ცხინვალი.** გულით ვწუხვართ ძვირფას ამხანაგ სევერიანეს დაკარგვას.

ცხინვალელი ამხანაგები.

—

**კოჯორი.** ღრმათ დამწუხრებული ვართ მუშათა ინტერესების დამცველ, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის დაკარგვის გამო.

კოჯორელ ამხანაგთა მონდობილობით აჯიმამუდოვი.

—

**ჩოხატაური.** გულით ვსწუხვართ, მუშათა ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლ, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვას. პანაშვიდი გადავიხადეთ.

ამხანაგების მონდობილობით ნიკიფორე მეგრელიშვილი.

—

**ბალაჯარა.** ღრმათ დამწუხრებული ვართ ყოფილ დეპუტატ ჯუღელის გარდაცვალების გამო.

მცერიშვილის ბუფეტის მოსამსახურენი.

—

**სამტრედია.** ვგლოვობთ ყოფილ დეპუტატ ჯუღელის უდროოთ დაკარგვას.

ფარნა ნინუა, ყარამან კოპალეიშვილი.

—

**ფოთი.** ისედაც ავათმყოფებს თავზარი დაგვცა, მასწავლებელ მებრძოლის სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების ამბავმა. ვსტირით მის დაკარგვას.

ფოთის საავათმყოფოს ავათმყოფნი ვანო გახოკიძე, შერეზ დაშვილი, აბშილავა და კალანდაძე

—

**დ. სურამი.** დავსტირი უდროოთ დაკარგულ სევერიანეს გვამს.

ვანო ქარციგაძე.

## სევერიანე ჯუღელის დასაფლავება.

—

გულდამწვარი მეგობრები, ამხანაგები და ნაცნობნი გუშინ წინ, 9 აგვისტოს, დილის 9 საათიდან, როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული, შეიკრიბნენ ყოფილი დეპუტატის, საუკეთესო ამხანაგის ბინაზე, რომელიც სახლის შუაგულში კუბოში უსულოთ განისვენებდა. ჭირისუფლები გარს შემოსხდომოდენ. უსაზღვრო მწუხარება იხატებოდა მათ სახეზე. როგორ არ უნდა დამწუხრებულიყვენ. ოჯახის ბურჯისა და ქვეყნის მოამაგეს დღეს საუკუნოთ უნდა გამოთხოვებოდენ. იქვე იყვენ სევერიანეს ბავშვებიც... ბედნიერები, რომ იმას არ გრძნობდენ იმ წუთში, როდესაც სევერანეს ყველა მეგობრები და ამხანაგები... მხოლოდ დრო-გამოშვებით შეხედავდენ მამის უსიცოცხლო პირისახეს, ამოღამებულ თვალებს, გაშლილ შუბლს, რომელსაც კანი გადასცლოდა და უდარდელათ მეორე ოთახში გადიოდენ, სადაც მრავალი გვირგვინები დაეწყოთ. დრო გამოშვებით სამარისებური სიჩუმე იდგა. თითქოს რაღაც უნდა გვეთქვა ამხანაგებს. ტირილს ვერ ვახერხებდით, რადგან ხანდისხან ცრემლებიც გიშრება ადამიანს უსაზღვრო მწუხარებისგან და ან როგორ შეეფერებოდა ტირილი ისეთ ადამიანზე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლით და მოქმედებით წინააღმდეგი იყო აზრთა ამ საშუალებით გამოხატვისა, რომელიც იმ შემთხვევაშიაც მხიარულების მომხრე იყო, როდესაც ... დურება მიზანს გვაახლოვებსო... არჩილის დასაფლავების დღე მახსოვს. რა ღრმა მწუხარება იხატებოდა სევერიანეს პირისახეზე, ის თითქოს ხმა ჩაწყვეტილი, ყრუთ გვიპასუხებდა ჩვენ შეკითხვაზე ამხანაგებს ჩვეულებრივი სიდინჯით და ყურადღებით იჯდა სტამბას ბნელ კუთხეში და ადგენდა მასალებს გაზეთის „არჩილის ნომრისათვის“.

„Исчисленіе силъ благопріятствуетъ нашей побѣдѣ“—გაიმეორა მან მასალების გადარჩევის დროს, რამდენიმე ხანი სიჩუმის შემდეგ არჩილის უკანასკნელი სიტყვები, რომელმაც სიკვდილის წინეთ წარმოუთქვამს. გაზეთის ნომერი გამოვიდა, არჩილი დავასაფლავეთ, ამას გაზეთის („ალის“) დაკეტვა მოყვა, მაგრამ მას სრულიათ არ უდარდებია; არჩილი განა ერთ გაზეთად არ ღირდაო?..

— ხალხი დილიდან უფრო-და-უფრო მატულობდა. უმრავლესობა, რასაკვირველია, მუშები იყვენ თფილისში არსებულ წარმოებათა ყველა დარგიდან. მათში იდგა მესამე დუმის წევრი ევგენი გეგეჭკორი.

10 საათზე კუბო ბინიდან (თუმანოვის ქ. № 16) გამოასვენეს ქალებმა და სულ ხელით მოასვენეს კვაშვეთის ეკკლესიამდე—თუმანოვის ქუჩით, ნიკოლოზის მოედნით, ვორონცოვის ხიდით, ბარიათინსკისა და ლორისმელიქოვის ქუჩებით. ცხედარს ზღვა ხალხი მოსდევდა. წესრიგს თვით მუშები იცავდენ და არც დარღვეულა თუნდ ერთი წუთითაც.

თვით ბუნება თითქოს თანაუგრძნობდა ჩვენს გლოვას, ცა მოღუბლულიყო, გუნდ-გუნდათ შემოკრებილ ღრუბელთ დღის მნათობი მოემწყვდიათ და იგი ერთი წუთაც აღარ გვინახავს მთელი დღის განმავლობაში.

გზა და გზა ურიცხვი ხალხი გვიხვდებოდა და ეკკლესიასთან კი მას ბოლო არ უჩნდა. წირვა დაახლოვებით შუადღის 11 ნახ. საათზე დაიწყო. აქ კიდევ ურიცხვი ხალხი მოემატა. გარშემო ქუჩები სულ სავსე იყო. ირევოდენ ადგილობრივ ყველა პროგრესიული გაზეთებისა და ჟურნალების წარმომადგენელნიც. ხალხის დიდი უმეტესობას მუშები შეადგენდენ..

წირვისა და პანაშვიდის შემდეგ კუბო სევერიანეს ამხანაგებმა და გაზეთ „ჩვენი აზრის“ თანამშრომლებმა ეკკლესიიდან გამოასვენეს. 50-მდე გვირგვინი იყო. ეკკლესიის მახლობლათ გადაღებულ იქნა მიცვალებულის სურათი. პროცესიას გაძლიერებული რაზმი მისდევდა პოლიციელებისა. შემდეგ პროცესია დაიძრა და იმავ გზით, ავჭალისა და ანტონოვის ქუჩით სასაფლაოსკენ გაემართა. სასაფლაოზე მოშორებით ჯარის კაცები ჩასაფრებულიყვენ..

სამარეც ამოეთხარათ, რომელსაც რამდენიმე წუთის შემდეგ სევერიანე უნდა საუკუნოთ ამოფარებოდა. კუბოს რომ სამარემდე ხელით მივასვენებდით ვგრძნობდით, რაღაც უნდა გვეთქვა საუკეთესო ამხანაგისთვის, მაგრამ ისევ გულში ვიკლავდით სათქმელს. ჩუმათ, გულში ვიმეორებდი ამხანაგის გულწრფელ სიტყვებს, მიცვალებულისადმი მოძღვნილს:

ყვავილებს ვეძებ, ყვავილებს,
მათი შეკვრა მსურს კონათა,
უნდა მეგობარს მივუძღვნა,
კავშირის მოსაგონათა...
მაგრამ ვაიმე, იგი კი
უკვე გაჰყრია გრძნობასა..

დავასაფლავეთ... სანამ კუბო არ დაიმალა და საფლავის გორა არ ამოვიდა ადგილიდან არავინ დაძრულა.

შემდეგ დაიშალნენ შავ ფიქრებით გარემოცულნი... სიტყვა არ თქმულა. სიჩუმითაც ყველაფერი გამოითქვა...

## გვირგვინები

—

პოლიციამ ზოგიერთ გვირგვინებს ლენტები დაახია და ამნაირათ, ჩვენ ვერ ადგენთ ყველას, თუ ვისგან იყო გვირგვინები. დანარჩენი გვირგვინები იყო შემდეგ დაწესებულებათაგან და პირთაგან: 1) ძვირფას დაუვიწყარ ძმას სევერიანეს. და-ძმათაგან: სოფო, ტოლია, ქესევია, ნინა, იულია, პროკოპი, გიგა და ვანიჩქასაგან; 2) თფ. მე-4 რაიონის მუშებისაგან; 3) მე-7 რაიონის მე-6 და მე-9 იაჩეიკისაგან; 4) რუსულ წარწერით: Дорогому Северіану—отъ Аріадны и Шуры, (ქალაქი); 5) ტილეს ქარხნის მუშებიდან წარწერით: უდროვოთ დაკარგულ ძვირფასს და დაუვიწყარ ამხ. სევერიანეს; 6) „მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ სევერიანე ჯუღელს“ საქ. სოც.-ფედერ. პარტ.; 7) თფ. პირველ რაიონის მუშებისაგან; 8) ქართველ ამხ. სტამბის მუშებისაგან; 9) თფ. მე-7 რაიონისაგან; 10) მე-2 რაიონისაგან: დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა; 11) გორის სადგურსა და კეროსინ-პროვოდში მომუშავე ამხანაგებისაგან; 12) თფილისის რკინის გზის ვაგონის პარკის მუშებისაგან; 13) ამხ. „რეკტიფიკატის“ მუშებისაგან; 14) თფ. კანდიტერ-ბულოჩნიკებისაგან; 16) ძვირფას დაუვიწყარ სევერიანეს მეუღლე ალექსანდრასაგან—შვილებითურთ: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალენტინა; 17) ორთაჭალის მებაღე მუშებისაგან; 18) „დაუღალავ მუშაკს“. „დროების“ რედაქციისაგან; 19) მე-5 რაიონის ამხანაგებისაგან; 20) თფილისის ლუდის ქარხნის მუშების ერთი ნაწილისაგან; 21) თფილისის რკინის გზის დეპოს ამხანაგ მუშებისაგან; 22) отъ группы кондукторовъ ст. Тифлисъ; 23) отъ служащихъ Авчальской конки; 24) „ხანგის“ რედაქციისაგან წარწერით: „სიტყვით და კალმით პროლეტარიატის ინტერესებისათვის მებრძოლს მე-2 დუმის ყოფილ დეპუტატს სევერიანეს“; 25) სტამბა „ეპოქა“ და დემუროვის ლიტოგრაფიის მუშებისგან; 26) ბაქოს კ.—საგან; 27) ქუთაისელ ამხ. ნოქრებისაგან და მუშებისაგან; 28) ქუთაისელ ამხანაგებისაგან; 29) 30) ჭიათურის ამხანაგებისაგან; 31) თფილისის წვრილ ვაჭართაგან; 32) ყვირილიდან—ამხანაგებისაგან; 33) ფოთიდან—ამხანაგებისაგან; 34) გალერსაგან; 35) თფ.

რკ. გზის სადგ. მეისრეთაგან; 36) თფილისის კ—საგან; 37) სიღ. კ—საგან; 38) თფილისის ნოქრებისაგან; 39) ქუთაისიდან—წვრილ ვაჭრებისაგან; 40) ქუთაისიდან—კ—საგან; 41) საყვარელ და დაუვიწყარ სეგერიანეს—სიძეებისაგან; 42) სამარიკმახეროთა მუშებისაგან; 43) თფ. ტრამვაის სახელოსნოს მუშებისაგან; 44) თფ. მე-6 რაიონისაგან; 45) отъ группы рабочихъ типографіи „Тифлисскаго Листка"; 46) ოზურგეთიდან—გურულ ამხანაგთაგან და სხვ.

## ჩვენი ერობნული პროგრამა და მისი დედა აზრი

ამას წინეთ გაზ. „ზაკავკაზიე"-მ გვიკიჟინა, ერობის საკითხში თქვენ და „ტიფ. ლისტოკი" ერთ ნიადაგზე დგეხართო, თქვენი საერობო პროგრამა არაფრით არ განირჩევა „ტ. ლ."-ის პროგრამისგანო. ამ აზრს „ზაკ."-ეს უებრო პუბლიცისტები იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ და „ტ. ლ."-ს აღმოგვაჩნდა შემთხვევითი თანხმობა—ამიერ-კავკასიის საერობო ერთეულის დაცვაში.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ამ ერთ პუნქტში ჩვენ და „ტ. ლისტოკი" ერთმანეთს ვეთანხმებით, მაგრამ განა ეს ნიშნავს ჩვენ და „ტ. ლისტოკის" საერობო პროგრამების იგივეობას? ამნაირი დასკვნა მხოლოდ იმას შეუძლიან გამოიყვანოს, ვინც ერობის საკითხში გარეგნულ ორგანიზაციის იქით ვერაფერს ხედავს, ვისაც ერობის საკითხის არსებისა არა ესმის რა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ის პრინციპიალური ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ ერობის საკითხში, ისე შორს არის „ტ. ლ."-თან, როგორც ცა და დედამიწა, რომ, მიუხედავათ ზოგიერთი უთანხმოებისა, პრინციპიალურათ „ტ. ლ." უფრო ახლოა „ზაკავკაზიე"-„დროება"-სთან, ვიდრე ჩვენთან.

რაში მდგომარეობს ჩვენი საერობო პროგრამის არსება?

ჩვენ არა გვაქვს განსაკუთრებული **საერობო** პროგრამა; ჩვენი საერობო პროგრამა განუყოფელი ნაწილია საერთო შედუღებული, ერთი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელსაც ეწოდება ჩვენი პროგრამა-მინიმუმი. ჩვენი საერობო პროგრამის განხორციელება შეუძლებელია, თუ არ განხორციელდა მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმი, და, უკუღმა, ჩვენი საერობო პროგრამის სავსებით განხორციელება ნიშნავს ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას.

ერობას ერთნაირათ უყურებენ: ჩვენი ბიუროკრატია და ჩვენი ლიბერალ-რადიკალები—„ზაკავკაზიე"-„დროებით" დაწყებული და „ტ. ლისტოკით" გათავებული. ეს უკანასკნელნი, პრინციპიალურათ რომ შევხედოთ საქმეს, ერობის საკითხში ვერ გასცილებიან იმ თვალსაზრისს, რომელზედაც დგას ნამესტნიკის საერობო პროექტი.

როგორც ნამესტნიკის პროექტი, ისე ჩვენი პროგრესისტების სხვადასხვაგვარი პროექტები აშენებულია იმ აქსიომაზე, იმ გარდუვალ ჭეშმარიტებათ მიჩნეულ აზრზე, რომ ერობის კომპეტენცია მხოლოდ და მარტო ეკონომიურ და კულტურულ საჭიროებებს სწვდება, რომ ამას იქით ერობას საქმე არა აქვს, ამ ფარგალს იგი არ უნდა გადასცილდეს; მათი აზრით, ამას იქით იწყება ადმინისტრაციის, მთავრობის კომპეტენცია, რომლის სფერაც სრულიად განსხვავებულია ერობის სფერისაგან.

სწორეთ ამ აქსიომათ მიჩნეულ აზრს ატრიალებს თავდაყირა ჩვენი საერობო პროგრამა, სწორეთ ამ ოფიციალურ ხლუდეებს სცემს იგი მიწაზე.

ჩვენი საერობო პროგრამის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერობას არა აქვს განსაზღვრული სფერა; არ არსებობს ერის ცხოვრებაში არც ერთი ისეთი მხარე, რომელსაც არ უნდა სწვდებოდეს ერობის კომპეტენცია. ერობა ერის თვითმართველობაა, და ერის ცხოვრების ყველა მხარეებს თვით ერი, მისი ორგანოები—საერობო ერთეულები უნდა განაგებდნენ.

საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ-კულტურული საკითხები, არამედ ყველა **პოლიტიკური** საკითხებიც. საერობო ერთეულების უფლება სამეურნეო საკითხებს გარდა, უნდა სწვდებოდეს კანონმდებლობას, მთელ ადმინისტრაციას, სასამართლოს.

იმ საკითხებში, რომლებიც ამა თუ იმ საერობო ერთეულის ადგილობრივ ფარგლებს არ სცილდება, საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს **საკანონმდებლო** ძალაც.

იმ საკითხებში, რომლებიც ეროვნულ ერთეულის ფარგალს სცილდება და შეეხება მთელ სახელმწიფოს, საერობო ერთეულის ხელში უნდა იყოს **აღმასრულებელი** ძალა—მან უნდა თითონ გაატაროს ცხოვრებაში **საერთო** კანონი, უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მიღებული.

სამოსამართლო სფერაშიაც საერობო ერთეულები თითონ უნდა აწესრიგებდნენ ყველა საქმეებს სახელმწიფოს კანონების ფარგალში.

ყველა ამ პრინციპების განსახორციელებლათ საჭიროა ერობის კომპეტენციაში შედიოდეს **დანიშვნა** იმ პირების, ვისაც დაეკისრება ყველა ამ ფუნქციების ცხოვრებაში გატარება: ერობას უნდა უფლება მიეცეს **თითონ აირჩიოს მოხელეები**, რომლებიც აღასრულებენ სახელმწიფო და საერობო **დაწესებულებების** ყოველს განკარგულებას; მას უნდა მიეცეს უფლება **თითონ აირჩიოს მსაჯულები**, რომლებიც გაასამართლებენ სახელმწიფო და საერობო კანონების დამრღვეველთ და ბოროტ-მომქმედთ; მას უნდა მიეცეს უფლება იყოლიოს ძალა, რომელსაც ერობა დაეყრდნობა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირმა, ან ჯგუფმა მოიწადინა ხალხის უფლების უზურპაცია.

ყველა ეს სრულ-უფლებოვანი საერობო ერთეულები შეადგენენ იმ ქვა-კუთხედს, რომელზედაც უნდა იყოს აგებული სახელმწიფოებრივი შენობა. რამდენიმე წვრილი საერობო ერთეული შეადგენს მსხვილ ერთეულს, შეიძლება რამდენიმე მსხვილი ერთეულებიც შეერთდენ ადგილობრივ საჭიროებების მიხედვით. მაგ., კავკასიაში რამდენი სართული სჯობია ამ შენობაში—ეს მეორე ხარისხოვანი კითხვაა, რომელიც უნდა წყდებოდეს დროსა და ადგილის მიხედვით.

დაკვალათ, საერობო დაწესებულებანი არაფრით არ ვანირჩევიან სახელმწიფო დაწესებულებათაგანი, მთელი სახელმწიფო შესდგება მრავალ წვრილ საერობო დაწესებულებათაგან, და უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი ლოღიკურათ მხოლოდ გაგრძელებაა ამ საერობო დაწესებულებათა.

ჩვენი საერობო პროგრამა, როგორც ვხედავთ, მოითხოვს უკიდურეს დემოკრატიზმის გაბატონებას; იგი შეურიგებელი მტერია ყოველგვარი ფარგლებისა, რომელსაც უდებენ ერობას და ხალხს ბიუროკრატიული ჰკისუფლები და რომლებშიაც არხეინათ გრძობენ თავს „ნორდ"-ებთან და „И. Ф."-ერთათ „ზაკავკაზიე"-ს და „დროების" მესვეურნიც.

**ლეო.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აგვისტო.

### სპარსეთი.

**ლონდონი.** რეიტერს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სპარსეთის ბანკის მოხელე რაიტი კერმანსა და მაზრას შუა ტყვეთ წაიყვანეს ყაჩაღებმა. დღემდე დატყვევებული ყავთ.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** პალატის უკანასკნელი სხდომა არ შესდგა რადგან ქვორუმი არ იყო. ნაშუადღევს 5 საათზე მინისტრები შევიდენ სხდომის დარბაზში. შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა ირადე სესიის დახურვის შესახებ. პალატის პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა და მოკლეთ აღნიშნა პირველი სესიის ისტორია, გამოემშვიდობა დეპუტატებს და მოახსენა შემდეგი მუშაობისათვის ის უთმობს ჩარაგანის სასახლეს. სესია პირველ ნოემბრამდე დაიხურა.

### რ უ ს ე თ ი

**ორიოლი.** სამხედრო სასამართლომ მაქსიმალისტთა ჯგუფს გადაუწყვიტა: ერთს სიკვდილით დასჯა, 241 კატორღა.

**იაკუტსკი.** საოლქო მთავრობას განზრახვა აქვს მოაწყოს საზოგადო სამუშაო, მთავარ საფოსტო ტრაქტებზე გზების გასაყვანათ.

**ადესა.** ჩხრეკის დროს, როცა პოლიცია ეძებდა საიდუმლოთ გასაყიდ სპირტს, მოხდა აფეთქება. აფეთქდა სპირტი. ბოქაულის თანაშემწე, უბნის ზედამხედველი და სახლის პატრონი ცეცხლისაგან გაიხუხენ.

**კოსტრომა.** აგვისტოს მეორე ნახევარში მოხდება საერობო ექიმთა სიეზდი.

**ლიუბლინი.** ლუბინში დაიჭირეს ყალბი ფულების მკეთებელნი. აღმოაჩინეს 5 ათასი მანათი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი სათავად-აზნაურო ბანკის მმართველთან ერთათ გაემგზავრა სარატოვის გუბერნიაში საგლეხო ბანკის მოქმედების გასაცნობათ.

**სევასტოპოლი.** კაჩეგარ დავიდოვს, როგორც „პატიომკინზე" აჯანყებაში მთავარ მონაწილეს, სასამართლომ თოთხმეტი წლის კატორღა მიუსაჯა.

**ზვენკოვი.** ბობრიკოვში დაიწვა 40 მოსახლე გლეხის სახლ-კარი, ზარალი 35,000 მანათია.

**ნოვობაიაზეთი.** 7 აგვისტოს დილის 4 საათსა და 43 წუთზე მოხდა მიწის-ძვრა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**არხანგელსკი.** ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 1, მაზრაში ავათ გახდა 1. კემში ავათ გახდა 7, მოკვდა 2.

**მოსკოვი.** ავათ გახდა 2.

**ნოვგოროდი.** ავათ გახდა 20, მოკვდა რვა.

**ორენბურგი.** ტროიცკში მოკვდა 1.

**პოლოცკი.** გადიჩსკის მაზრაში ავათ გახდა 37, მოკვდა 14, კრემენჩუგში ავათ გახდა 4, მოკვდა 4.

**რეველი** კლონგოლმაში ავათ გახდა ორი.

**რიგა.** ავათ გახდა 2, მაზრაში 1.

**იაროსლავლი.** ავათ გახდა 4, მოკვდა 3. რიბინსკში—5, მოკვდა 3.

**ვოლოგდა.** ხოლერით ავათ გახდა 46, მოკვდა 23.

**ეკატერინბურგი.** პერმში ავათ გახდა 11, მოკვდა 3. მოტოვილიხში 3, მოკვდა 1. კუნგურსში მოკვდა 1.

**სარატოვი.** ავათ გახდა 3.

**პეტერბურგი.** ავათ გახდა 30, მოკვდა 10. ავათ არის 338.

### საზღვარ-გარეთ

**ეგემირონსკი.** წორვეგიის სამხედრო გემებმა, „გარალტ" და „ნეპტუნმა", რომლებიც შპიცბერგენიდან მივიდენ, ამბავი მოიტანეს, რომ 2 აგვისტოს დილით უელმანი აფრინდა ჰაერში, მაგრამ ხელი შეეშალა და იძულებული შეიქნა ჩამოშვებულიყო, ის ძებნის შემდეგ იპოვნეს ყინვებში და გემზე მიიყვანეს.

**მელილია.** ესპანიის სამხედრო ტრანსპორტს თავს დაესხენ მავრები. მოუკლეს ორი და დაუჭრეს ექვსი კაცი.

**მელილია.** ბელგაუზის ახლო სურსათის მატარებელს მავრები თავს დაესხენ. ისინი უკუ აქციეს.

პეკინიდან იტყობინებიან, რომ გუშინ კაბილები თავს დაესხენ ესპანელებს. შედეგი ჯერ არ იციან.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**ბოლგარების მიტინგი.** ამ დღეებში მოხდა ბოლგარ-კონსტიტუციონალისტების მიტინგი. მიტინგზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტს აცხადებენ ეკლესიების და სკოლების პატრიარქატის ეგზარხატის შორის დაყოფის გამო.

**აბდულ ჰამიდის ავათმყოფობა.** ყოფილი სულთანი აბდულ ჰამიდი მძიმე ავათ გამხდარა კუს ავათმყოფობით. მან უარი განაცხადა აპერაციაზე.

**აფიცრების მოთხოვნა.** ათინიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოე ფრაიე პრესე"-ს: „გუშინ აფიცრებმა საიდუმლო კრება მოახდინეს. კრებამ გადასწყვიტა მოსთხოვონ მეფეს დაუყონებლივ გადაყენებულ იქნეს კაბინეტი უკეთუ მან ფორმალურათ უარი სთქვა კრიტოსის საბერძნეთთან შეერთებაზე, მოწვეულ იქნას ახალი სამინისტრო და მოეწყოს ნაციონალური დაცვის საქმე. მთელი ქვეყანა საომარ ფეხზე სდგას.

**ბოიკოტი.** საბერძნეთის გემების და საქონლის წინაამდეგ ბოიკოტი თანდათან ძლიერდება. გემების დამტვირთველები უარს ამბობენ მუშაობაზე. პატარა ხომალდების პატრონმა ბერძნებმაც თავის მხრით კონტრ-ბოიკოტი გამოუცხადეს. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს ეკონომიური ბრძოლა დიდხანს გასტანს და უფრო მეტ ზარალს მოუტანს ოსმალეთს, რადგან სატახტო ქალაქის ვაჭრობა ერთავად თითქმის ბერძნების ხელშია.

**საბერძნეთის ბაირაღი.** უცხოეთის ჯარების გამოსვლის შემდეგ, კრიტოსის მთავრობამ თავის ციხე-სიმაგრეზე საბერძნეთის ბაირაღი ააფრიალა. ოსმალეთის მთავრობამ გადაჭრით მოითხოვა ბაირაღის ჩამოხსნა, მაგრამ კრიტოსის მთავრობამ, საზოგადოებრივი აზრის გავლენით, ბაირაღის ჩამოხსნაზე უარი განაცხადა. სახელმწიფოები წინადადების მიცემას აპირებდენ ბაირაღის ჩამოხსნის შესახებ.

**ბერძნები და ბოლგარელები.** კრიტოსის საკითხში ბოლგარელების მთელი სიმპატია ოსმალეთისკენ არის და მოსალოდნელია, რომ თუ ომი მოხდა, ოსმალეთთან ერთად იბრძოლებენ.

**სულთანმა რუსეთში მოსვლა გადასდო.** ოსმალეთის სულთანი ამ მოკლე ხანში რუსეთში მოსვლას აპირებდა, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, სულთანს მოსვლა გადაუდვია. მიზეზათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კერძოთ კი, კრიტოსის კითხვის გამწვავებას ასახელებენ.

### სპარსეთი.

**არჩევნების შედეგი.** გამოცხადდა სია მეჯლისში არჩეულთა. ყველა არჩეულები განათლებული პირებია. მათ პატივსაცემათ ზარბაზნები გაისროლეს.

**ყოფილი შახის პენსიის პირობები.** დროებით უმაღლესმა კომისიამ აცნობა რუსეთის და ინგლისის მისიებს, რომ თუ ვინცობა მაჰმედ-ალი რუსეთში ინტრიგებს დაიწყებს სპარსეთის კონსტიტუციის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში სპარსეთის მთავრობა პენსიას მოუსპობსო. მისიებმა პასუხის მიცემა შეპირდენ, მას შემდეგ, როცა თავის მთავრობებს მოელაპარაკებიან.

**სად იცხოვრებს ყოფილი შახი?** „რ. ს." სიტყვით საბოლოოთ გამოირკვა, რომ ყოფილი შახი დაბინავდება ადესაში. ადგილობრივი ადმინისტრაცია დაეძებს შესაფერ შენობას, რომლებმაც დაათვალიერეს ყველა დიდი სახლები. ფიქრობენ იყიდონ სადგურის ახლო დიდი [illegible] ჰოფმაისტერგელ ნაფიც ვექილს კოგან-ბერშტეინს. ეს სახლი სრულიათ გამოყოფილია სხვა შენობებიდან და შესდგება ოცი ოთახისაგან. შახის მოსვლის დღეს და აგრეთვე იმ პირების ვინაობას, რომლებიც შახს ეახლება საიდუმლოთ ინახავენ. ჯერ-ჯერობით იციან, მხოლოთ რომ შახის მოსვლის დღეს ადესაში მოვლენ ლიახოვი და ცნობილი რეაქციონერი შაპშალი.

### რ უ ს ე თ ი.

**სიკვდილით დასჯა.** პოლტავაში სიკვდილით დასაჯეს ხუთი გლეხი, ლოხვიცის მაზრაში მომხდარ თავდასხმის გამო. მესამე ბრალდებულმა სიკვდილით დასჯის წინა დღით კამერაში ღვედით თავი დაიხრჩო.

**დეპ. ჩხეიძის დეპეშა.** სახელმწიფო დუმის დეპუტატ კარლო ჩხეიძეს რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის სახელით შვეციის ს.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერ ბარანტინგისთვის თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნია გაფიცვის გაგრძელების გამო.

**უმაღლესი პატიება.** კოვნის გუბერნატორის შუამდგომლობით ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესათ აპატია სასჯელი საპიორთა მეორე ბრიგადის 14 სალდათს. მათ ბრალს სდებდენ შეიარაღებულ აჯანყების მოხდენაში.

**„ჭეშმარიტების" ახალი პროექტი.** „ჭეშმ. რუსთა კავშირმა" ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში მრავალი ცირკულიარები დაამზადა პროვინციებში დასაგზავნათ. ცირკულიარების მიზანია დუმის სესიის გახსნის დროს აღძრან შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ დუმიდან გაძევებულ იქნეს რევოლიუციონური ჯგუფები.

### ი ს პ ა ნ ი ა

**ჩამოხრჩობა.** ბარცელონაში დაიწყო რევოლიუციონერების ჩამოხრჩობა. თუ რამდენი ჩამოახრჩვეს—ჯერ არაა გამორკვეული.

**მულაი-გაფიდის მისია.** პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ მულაი გაფიდმა მისია გაგზავნა რიფიოტებთან. მისიის მიზანი თითქოს იმაშია, რომ დააჯერონ კაბილები ისპანელებთან საქმე მორიგებით გაათავონ. ნამდვილათ კი, მულაი-გაფიდმა ამ მისიის პირით საიდუმლოთ აცნობა კაბილების ბელადებს, რომ უკანასკნელ წუთამდე იბრძოლონ და იარაღი არ დაჰყარონ.

**რა ხდება მაროკოში.** ბერლინის გაზეთების სიტყვით, კაბილებმა დაიჭირეს მიუვალი პოზიციები. გენერალ მარინას განზრახვა აქვს ხმა[illegible] იერიში მიიტანოს. ლონდონის გაზეთების სიტყვით კი, დილით ისპანელებმა დაიწყეს იერიშები. ორი მხრიდან ოთხ-ოთხი ათასი ჯარი მიდის, ხოლო მესამე მხრიდან ძლიერი რაზმი 32,000 კაცით თვით გენერალი მარინა მიდის. მოელიან საბოლოო ბრძოლას.

### საზღარ-გარეთ.

**გაფიცულებში შიმშილობა დაიწყო.** სამხრეთ შვეციაში მადნებში და ხეტყის ქარხნებში მომუშავე გაფიცულ მუშებში შიმშილობა დაიწყო. მთავრობა დახმარებას პირდება იმათ, ვინც დაუყოვნებლივ მუშაობის დაიწყებს.

**გაფიცულთა მდგომარეობა.** გერმანიის ს.-დემოკრატიულმა პარტიამ და მუშათა ორგანიზაციებმა ჯერ-ჯერობით შვეციის გაფიცულ მუშებს გაუგზავნეს 350,000 მარკა. სტოკჰოლმში მოქალაქენი აგიტაციას ეწევიან დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარლამენტი, რომ გადასინჯონ დაქირავების პირობების კანონები. შვეციის ზოგიერთ ადგილებში გაიფიცენ სოფლის მუშები.

**მოწოდება მეფისადმი.** პროგრესიული გაზეთები კიცხავენ, რომ მთავრობა გულხელ დაკრეფილი უყურებს შვეციის უკანასკნელ ამბების. გაზეთები მოუწოდებენ მეფეს მიიღოს მონაწილეობა და მოახდინოს შეთანხმება ორივე მოქიშპე ბანაკს შორის.

**სოც. დემოკრატიული სამსჯავრო.** [illegible] აგვისტოს შტუტგარდში მოხდა სოციალ-დემოკრატიული კრება. კრებას უნდა გაესამართლებინა შვიდი სოც.-დემოკ. ლანდტაგის დეპუტატი, რომლებმაც ამას წინათ მონაწილეობა მიიღეს ვიურტემბერგის კაროლთან დარბაზობაში. ბრალმდებლათ გამოვიდა სოციალდემოკრატიული გაზეთის რედაქტორი ვესტმაიერი. მან საბრალმდებლო სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: ჩვენ ამ შემთხვევაში კაროლის პიროვნებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მონარქიასთან, როგორც კლასობრივი სახელმწიფოს ინსტიტუტთან და ისეთი სახელმწიფოებრივი წესწყობილების მონარქებთან, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო და იქნება სოციალდემოკრ. ერთი ბრალდებულთაგანი ფიშერი, შეეცადა თავის გამართლებას, მაგრამ მის გამართლებას დამსწრენი სასტიკი კრიტიკით და დაცინვით შეხვდენ. კრებამ დიდი და ცხარე კამათის შემდეგ, 195 ხმით 74 წინააღმდეგ მიიღო შტუტგარტის კომიტეტის მიერ შედგენილი შემდეგი რეზოლიუცია: პალატის წევრთა წასვლა, რომელსაც შედეგათ მოჰყვა კაროლთან დარბაზობა, არის დემონსტრაცია იმ სახელმწიფოს წესწყობილების სასარგებლოთ, რომელთანაც ბრძოლა შეადგენს სოციალ დემოკრატიის ერთ უმთავრეს მოვალეობას. ამიტომ ასეთი წასვლა—დარბაზობა სრულიათ ეწინააღმდეგება სოც. დემოკ. პრინციპს. ხოლო იმ პირებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ დარბაზობაში, გადააჭარბეს იმ რწმუნებას, რომელიც მათ პარტიამ მისცა. პარტიის მოთხოვნილებების პატივისცემა ასეთ შემთხვევებში სავალდებულო უნდა იქნეს მომავალში ყველა დეპუტატებისათვის.

## ქალი სინდიკალისტურ მოძრაობაში.

ის ბრწყინვალე გაზაფხულის სეზონი, რომელიც იწყება ამ ქვეყნის ბედნიერთა გულის გასახარელათ და რომელსაც მაისის თვიდან მოაქვს მათთვის მრავალი სანეტარო სიამოვნება—გართობანი,—აუარებელ მშრომელთათვის დასაწყისია ათასნაირ უბედურებისა და მათ ამ „წელიწადის დილის" მარტო ერთი მოგონება შიშის ზარსა სცემს. რაც უნდა მძიმე იყოს ამ ადამიანებისათვის მოლოდინ შემოდგომა და მძვერი ზამთარი, რომელსაც თან მოაქვს ავათმყოფობა და სხვა აუარებელი გასაჭირი, მაინც ეს სჯობია მათთვის, ვინაიდან ამ დროს რაიმე სამუშაო მაინც აქვთ და სულ ულუკმა-პუროთ ქუჩაში არ დარჩებიან. მაგრამ აი, დგება „მკვდარი სეზონი" და მასთან ერთათ მრავალ მათგანს ესპობა საშუალება არსებობისა, რჩება ულაგოთ.

შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტ საფრთხეშია ქალის შრომა, ვინაიდან სეზონს მის შრომის დაცემაზე მეტი გავლენა აქვს. ამ დროს უადგილოთ რჩება დიდ-ძალი მოსამსახურე ქალები, დიდი უმეტესობა რესტორანებში მოსამსახურეებისა, მაღაზიებში გამყიდველებისა, სტენოგრაფისტებისა, გადამწერლებისა, კანტორშჩიცებისა, უმთავრესათ კი სამკერვალოებში მომუშავეებისა. ყველა ესენი იძულებული ხდებიან არსებობის წყარო სულ სხვა გზით სძებნონ... პოლიციის ცნობებით სწორეთ ზაფხულის თვეებში მრავლდებიან პროსტიტუციის მსხვერპლნი, რომელთაც არა აქვთ სათანადო მოწმობები და ამიტომ რეგისტრაციას გაურბიან, ვინაიდან ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი პატიოსნურ ცხოვრებასთან დაბრუნებაზე.

მაგრამ ეს „მკვდარი სეზონი“ ხომ შემთხვევითი მოვლენა არ არის ამ მშრომელთა ცხოვრებაში. ის მეორდება მუდმივი თანდათანობით. და ამიტომაც დღეს ხშირს ლაპარაკობენ პროლეტარულ ქალთა წრეებში, რომ ამ „სეზონს“ მზათ დახვდენ.

როდესაც მუშათა მოძრაობაზეა ლაპარაკი, ხშირათ აღნიშნავენ, რომ ქვის მტეხლები და საამშენებლო პროფესიის სხვა მუშები განსაკუთრებითი ბრძოლის ენერგიას იჩენენ და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ამ ხელობაში მრავალია შემთხვევითი მომუშავე, როგ. მაგ., სოფლიდან ჩამოსულები, თუ იქ მიმავალები და და სხ.—მაგრამ ამ დარგის მუშები ძლიერ განიცდიან სეზონის და ცუდ ამინდების გავლენას და ამიტომ მათ ყველაზე უწინ შეიგნეს, მაგრამ ორგანიზაციის საჭიროება, რომელმაც მართლაც მოაპოვებია მათ გვარიანი სამუშაო პირობები და ასე თუ ისე უზრუნველჰყო გრძელი „მკვდარს სეზონის“ განმავლობაშიაც.

სწორეთ ამ დასკვნას ადგებიან დღეს „სეზონისაგან“ განაწამები მუშა-ქალები. ცნობილი პუბლიცისტი ბერტილიონი, როცა არკვევდა იმ ზომებს, რომლებიც უნდა გამკლავებოდენ „შვეატინგ სისტემას“, (ოფლის გამოწურვის სისტემა) ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ შეველა სინდიკალისტურ ორგანიზაციას შეუძლიანო, ვიაიდან აქნამდე მიღებული ზომები მყიდველ ქალთა დაარსებული ლიგა, რომელიც უარს აცხადებდა იმ მაღაზიებში საქონლის ყიდვაზე, რომლებიც ხელს კიდებენ „შვეატინგ სისტემას“, დამა პატრონესების კომიტეტის დაარსება და სხ. ვერ აღწევენ მიზანს.

მაგრამ ქალთა მოძრაობის ზოგიერთი მოღვაწენი ბერტილიონზე ადრე მივიდენ ამ დასკვნაზე, ამ რიცხვს ეკუთვნიან ქ-ნი პეგარი, შრომის ქალთა ნაციონალურ საბჭოს სექციის თავმჯდომარე, და ქ-ნი ბიდონი, კონფექსიონის ქარხანების მუშა-ქალთა სინდიკატის თავმჯდომარე. ორივე ესენი არ მალავენ, რომ ქალთა შორის სინდიკალურ მოძრაობის შედეგები მცირეა, ვინაიდან სოლიდარობას მიუჩვეველთ, მათ უძნელდებათ კოლექტიურ ბრძოლის წარმოება, მიუხედავათ ამისა, პროპაგანდას მათ შორის უკვე ნაყოფი გამოაქვს.

საფრანგეთში ითვლება 1,122,470 მუშა-ქალი და მრავალ პროფესიის მოსამსახურენი, ხოლო იმავე სოციალურ მდგომარეობის მამაკაცი 7,970,000 უდრის. ამათგან სინდიკატებში შეკავშირებული მამაკაცები 882,850 არის, ანუ 10—12 პროცენტი; ხოლო შეკავშირებულ ქალთა რიცხვი—75,640, რომელიც წარმოადგენს 1,8 პროცენტს მუშა ქალების რიცხვიდან და რვა ნახ. პროც. საერთოთ სინდიკალურ მოძრაობაში.

მაგრამ ამ მოძრაობაში პირველათ ჩაბმულნი—მკერავები, ყვავილების გამყიდველნი, „მოდისტები“, კონფექსიონები, მანქანაზე გადამწერლები და კანტორის მოსამსახურენი,—ეხლა გულმოდგინეთ ეწევიან პროპაგანდას, და მათ მიერ წამოყენებული ლოზუნგი — მუშა-ქალის ხელფასის გათანასწორება მამა-კაცის ხელფასთან და მოსპობა ქალთათვის სპეციალურ ფავორიტიზმის ფორმისა,—იწვევს ისეთ ცხოველ გამოძახილს, რომ საძირკვლის ჩამყრელთ სრული იმედი აქვთ საფრანგეთის ქალთა სინდიკალურ მოძრაობის დიდი მომავლისა.

# ახალი ამბები

**ინციდენტი სასაფლაოზე.** სევ. ჯუღელის სახელზე ბლომათ გამოიგზავნა გვირგვინები, რომლების ლენტებზე სხვადასხვა წარწერები იყო... ამის გამო პოლიცია დაეკითხა პროცესიის ფაქტიურ ხელმძღვანელთ დეპუტატ ევგენი გეგეჭკორს და ქალაქის თავის მოადგილე ა. ი. ხატისოვს. დეპუტატმა გეგეჭკორმა ბოქაულს აუხსნა, რომ იგი, მართალია, პროცესიის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო, მაგრამ რაც შეეხება რევოლიუციონურ წარწერებს ლენტებზე, ამათთან მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს, ამ შემთხვევაში პასუხის მგებელი ის პირებია, რომელთაც გვირგვინები მოჰქონდათ და მათი ყურის გდებაც პოლიციელთა საქმეა და არა ჩემიო. ბოქაულმა განაცხადა, რომ პროცესიაში დეპ. გეგეჭკორი და ნაფ. ვექ. თანაშემწე ივ. კაჩუხოვი იყვენ ფაქტიურ გამგეთ. პოლიციამ ამათი ადრესები ჩაიწერა.

**დეპუტატი გეგეჭკორი.** ე. გეგეჭკორი სხვათა შორის შუამდგომლობს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელთან ს. ჩდილისა და დეისის გლეხების მდგომარეობის შესახებ, რომელთაც, როგორც ჩვენს გაზეთში ვწერდით, თავ. გიორგი ამილახვარი რამდენიმე ათას მანათს უჩივის. გეგეჭკორი კრებს აგრეთვე მასალებს ადგილობრივ კავკასიის საკითხებზე, განსაკუთრებით ერობის შესახებ.

**სამხედრო სასამართლოში.** 12 აგვისტოს სამხედრო საოლქო სასამართლოში ირჩევა მულინისა, კარაგიჩევისა, პანტიუხოვისა, ხუნწარიას და და დიანის საქმე, რომელთაც ბრალათ ედებათ რ. ს.-დ. მ. პ—იის სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობა. პასუხის გებაში აძლევენ სისხლის სამართლის დებულების მე-102 სტატიის ძალით. საქმის გარჩევა ორ დღეს გასტანს. ბრალდებულებს იცავენ ნ. ელიავა, ივ. კაჩუხოვი და პ. მასალკინი. ესენი 16 თვეა რაც დაპატიმრებულნი არიან მეტეხის ციხეში. ამათში ორი—ხუნწურია და დიანი ყოფილი ჯარის კაცები არიან.

**საღამო სტუდენტების სასარგებლოთ.** პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველ სტუდენტთა წრის სასარგებლოთ 11 აგვისტოს „ინტერნაციონალის“ ბაღში გაიმართება დიდი საღამო საკონცერტო განყოფილებით.

**დაპატიმრებულის გადაგზავნა.** ამ დღეებში ერევნიდან თფილისში ჩამოიყვანეს და აქედან ის ნოვოჩერკასკში გაგზავნეს იოსებ არღუთინსკი, რომელსაც რევოლიუციონურ ორგანიზაციაში, „დაშნაკციუტუნში“ მონაწილეობას აბრალებენ.

**სხდომა.** დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება სხდომა სამკურნალო-სანიტარულ საბჭოსი[] ქალაქის სანიტარულ მზრუნველთა მონაწილეობით.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 7 აგვისტოს მეათე საპოლიციო ნაწილის პოლიციელებმა და ჯარის კაცებმა ჩხრეკის დროს ხსენებულ ნაწილის რაიონში დააპატიმრეს 8 კაცი, რომელთაც თან არ აღმოაჩნდათ პასპორტები.

**ტუსაღის გაქცევა.** 8 აგვისტოს თფილისის მეტეხის ციხიდან გაიქცა ტუსაღი იოსებ იანისი. იანისი ციხის სახურავზე ასულიყო და იქიდან გირგიდოვის სახლში გადასულიყო.

**ბიკენტი ლომთათიძე.** სევასტოპოლიდან გვატყობინებენ, რომ მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი ბიკენტი ლომთათიძე მეტათ ავათაა თურმე. სატუსაღოების მთავარ სამმართველოს მისთვის ნება დაურთავს ბათომის სატუსაღოში გადმოიყვანონ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ნამესტნიკის თანხმობაცაა საჭირო. დეპუტატი გეგეჭკორი ამ საქმის გამო შუამდგომლობს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელთან.

**სამგლოვიარო წერილი.** რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილი ბალაგლეიადან (ხარკოვის გუბ.) გურულ სალდათების ერთი ჯგუფისაგან ბიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალების გამო.

**სხვადასხვა ამბები.** 7 აგვისტოს საღამოს 10 საათზე გორის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა თფილისის მოქალაქე არშაკ ხუდადიანცი მოპარული ნივთებით, რომელიც მას უნდა გაეყიდა. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთები იაკობ ფარსადანოვის მაღაზიიდან მოეპარა უკანასკნელის ძმას გრიგოლ ფარსადანოვს, რომელიც მიიმალა.

— 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე სალდათის ბაზარში დააპატიმრეს სარქის კობელიანცი, რომელმაც ეგორ სუხოვს ფული ამოაცალა ჯიბიდან.

— რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებ ელისე ხავთასის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთი 500—600 მანეთისა. ამის გამო დააპატიმრეს მეეზოვე ადამ ბუზოევი, ისააკ მურადიანი და ტატო მეხატიშვილი.

— პოლიციამ დააპატიმრა იოსებ მათიაშვილი. მას აბრალებენ პორუჩიკ გონტარსკის გაქურდვას. მათიაშვილი წინათ გონტარსკისთან მსახურებდა.

## წერილები შორეულ აღმოსავლეთიდან

**იაპონიის მთავრობა და კორეის ანექსია.**

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

იაპონიის მთავრობა ეჯიბრება რუსეთის მთავრობას „ინოროდცების“ შევიწროვებაში და დამორჩილებაში. ის დაჰრილ პანთერასავით ხელობს და აქეთ-იქით ეხეთქება, რომ განსაკუთრებული წესები და კანონები გამონახოს კორეელების დასამორჩილებლათ და შესავიწროებლათ, კორეიაში თავისებური რეჟიმის დასამყარებლათ და განსამტკიცებლათ. პატარა კორეის ჰორიზონტი შავმა ღრუბლებმა დაფარა. იაპონურ გაზეთ „რიოტო-სიმპო“-ს დეპეშით ატყობინებენ სეულიდან: „ახლო მომავალში ელიან კორეის კაბინეტის გადაყენებას. ყველა მინისტრები შეუსვენებლივ სადარბაზოთ დადიან ერთმანეთთან“. ეს მოკლე ცნობა, დეპეშით გადმოცემული, საკმაოთ მჭერმეტყველურათ ამტკიცებს, რომ კორეის მართვა-გამგეობაში დიდი ცვლილებები უნდა მოხდეს. ეს ცვლილებები, უქმა არ უნდა, იაპონიის მთავრობის მიერ შეთანხმებული იქნება იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ის აწარმოებს დღეს კორეიაში და რომლითაც ცდილობს აღელვებულ კორეელების სრულ დამორჩილებას.

ზედმეტია დაწვრილებით იმის გახსენება, თუ რა შევიწროებას აყენებდენ ამ ახლო წარსულში იაპონელები კორეელებს.

სამი წლის განმავლობაში იბრძოლა პატარა კორეის პატარა ეროვნებამ იაპონიის მთავრობის თავგასულობის წინააღმდეგ; სამი წლის განმავლობაში დიდი და პატარა, ქალი და კაცი—მამაცათ ეწეოდენ პარტიზანულ ბრძოლას დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ, მაგრამ ბოლოს დაიქანცა, დაიღალა და ძალაუნებურათ დაყარა იარაღი, თუმცა მდგომარეობას ოდნავაც არ შერიგებია. თავისთავათ ცხადია, რომ იაპონიის მთავრობის ძალებს პატარა კორეია ვერ გაუმაგრდებოდა. იაპონიაც იმ თავითვე დარწმუნებული იყო, რომ ძალა მის ხელშია, მარა მას მოსწყინდა მუდმივი უწესოება კორეიაში, რომლის დაცხრობა საკმაოთ ძვირათ უჯდებოდა და შეუდგა ნიადაგის მომზადებას კორეის ანექსიის გამოსაცხადებლათ. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში გავრცელდა ხმები ამის შესახებ, მაგრამ იაპონიის მთავრობამ საჩქაროთ უარყო ეს, თუმცა ვერავინ დაარწმუნა ამაში. შემდეგ საქმეს სხვა მხრით მოუარა. ის შეუდგა მტკიცებას, რომ კორეელები იაპონელების ბატონობის ქვეშ მშვენივრათ გრძნობენ თავს, პირდაპირ განცხრომაში არიან. ამით მას სურდა მის წინააღმდეგ ამხედრებულ საზოგადოებრივ აზრის დამშვიდება ერთის მხრით, და ანექსიისათვის ნიადაგის მომზადება — მეორე მხრით. და აი, განვლო დრომ და იაპონიის მთავრობამ თავის მიერვე უარყოფილი ცნობა ოფიციალურათ გამოაცხადა, რომ კორეიაში იაპონიის კანონმდებლობა უნდა იქნა შემოღებული.

როგორ ვიცით, ფაქტიურათ უკვე კარგა ხანია გამოცხადებულ იქნა კორეის ანექსია. ეხლა ამ მხრივ იაპონიის მთავრობამ უკანასკნელი ნაბიჯიც გადადგა. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ვტყობილობთ, ეხლა ეს აქტი დამტკიცებულია იურიდიულათაც. სააგენტო ასე გადმოგვცემ ამას: „იაპონიასა და კორეიას შორის საგანგებო შეთანხმების თანახმათ კორეის იურისდიქცია სავსებით იაპონიის ხელში გადავიდა“. ამ გვარათ, იაპონიამ აისრულა დიდი ხნის სურვილი. დღეიდან კორეია, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. საააგენტოს რამდენიმე სიტყვაში სავსებით გამოიხატება მისი მომავალი ისტორია: კორეის ადგილას წესდება იაპონიის პროვინცია, და ეს ხდება აშკარათ, მთელი ქვეყნის დასანახათ. იაპონიის ასეთი საქციელი ვითომდა კორეიასთან მოლაპარაკების შედეგია, მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ვის მოელაპარაკა ამ შემთხვევაში იაპონიის მთავრობა? კორეის იმპერატორს, მაგრამ კორეის იმპერატორი ხომ არავითარ როლს არ თამაშობს კორეის მართვა-გამგეობაში. კორეის ხალხს? მაგრამ თითოეული კორეელი ხომ უზომო მძულვარებით სავსეა იაპონიის მთავრობის მიმართ და დღესაც მზათ არის, რომ ძალ-ღონე შესწევდეს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონიის მთავრობას. მაშ, ვისთან ქონდათ მოლაპარაკება? ცხადია, კორეის ფაქტიურ მმართველთან, რეზიდენტ სონესთან, რომელიც ტომით იაპონელია და სულით და გულით მინდობილია იაპონიის მთავრობაზე ამას გარდა, კორეის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებების სათავეში იაპონელი ჩინოვნიკები დგანან. მაშასადამე, იაპონიის მთავრობას არავისთან მოლაპარაკება არ ესაჭიროებოდა, ვინაიდან უძლურ მეფესთან მოლაპარაკებაც ზედმეტია; თავის ჩინოვნიკებს კი უბრძანა და დღესაც უბრძანებს და რაც სურს იმას აკეთებინებს.

ამიერიდან კორეის მცხოვრებთ იაპონიის ძირითად კანონებს დაუქვემდებარებენ. აზიის გეოგრაფიული ქარტა ახალი ფერადებით შეიღებება. კორეია იძულებულია აღმართოს იაპონიის დროშა და დღითი-დღე დაკარგოს თავისი სპეციფიური სახე. როგორც წინა წერილში მოვიხსენიე, იაპონელი საზოგადოთ ყველაფერს ადრე ითვისებს: ავსაც და კარგსაც. კორეის მაგალითი მშვენივრათ გვიმტკიცებს, რომ იაპონიის მთავრობამ საუცხოვოთ შეისწავლა ევროპიდან და განსაკუთრებით რუსეთიდან, პროვინციების და „ინოროდცების“ დამორჩილება, მათთვის საკუთარი სახის შეშლა. კორეის იურისდიქციის გამოცხადებით დასრულდა იაპონიის დრამა კორეის სცენაზე, რომელშიაც იაპონიის ფიქტიური მეფე სტატისტის როლს თამაშობდა უკანასკნელ დრომდე. ახლა იწყება კორეის ხალხის მწუხარებით სავსე ტრაგედია. იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს კორეია იაპონიის „სხეულით“ გამოკვების, ე. ი. კორეიაში იაპონელი მეურნეები გადაასახლოს, იაპონიის ჩინოვნიკები შეუდგებიან კორეელების გაიაპონელებას: დაუწყებენ დევნას და შევიწროებას ნაციონალურ სკოლებს, ნაციონალურ ენას, ნაციონალურ ლიტერატურას, ამგვარათ, ეროვნებას გადაგვარების გზაზე დააყენებენ და თავიანთ „სასიქადულო“ მოქმედებას კვლავაც ქებათა-ქებას შეასხამენ, როგორც ჩვეულნი არიან. ყოველივე ამის მაგალითები მრავალთაგან-მრავალია.

ასიმილიაციის მიზნით არც ერთი კულტურული სახელმწიფო არ უარყოფს უსასტიკეს ზომებს, არ უარყოფს მას არც იაპონია. მან უკვე შესძლო მეამბოხე კორეელების „დამშვიდება“. ახლა, ეჭვს გარეშეა, ეცდება სრულიათ ჩაჰკლას მათში ამბოხების და წინააღმდეგობის სული. ინგლისელებმა ინდოეთში ცეცხლითა და მახვილით მოისურვეს „ცივილიზაციის“ შეტანა, ცეცხლითა და მახვილით შევიდენ ფრანგებიც ჩრდილოეთ აფრიკაში და რაღა მარტო იაპონიას შერცხვება კორეის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღების.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დღეს ხელთა გვაქვს, თამამათ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ კორეიასაც იგივე დღე დაადგება, რაც ინგლისისა და საფრანგეთის ახალშენებს. ეს ადვილი გასაგებიც არის. იაპონიას იზიდავს კორეისაკენ არა კულტურისა და ცივილიზაციის შეტანა კორეის მცხოვრებთა შორის, არამედ ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიაც დღეს ჩაყენებულია ის. როგორც ვიცით, იაპონიის მცხოვრებნი ძალზე მჭიდროთ არიან დასახლებულნი. იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს მიკადოს სამფლობელოს შეადგენს. ამასთან, იაპონიის კაპიტალისტური წარმოება მეტის-მეტი სისწრაფით ვითარდება და არსებულ კალაპოტში ვერ თავსდება. ეს მიზეზები აიძულებენ „ამომავალ მზის ქვეყანას“, რომ საკუთარ კუნძულებს გარეშე ეძიოს ახალი ბაზრები და ახალი საცხოვრებელი ადგილები. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იაპონია არ დაკმაყოფილდება მარტო კორეის ხელში ჩაგდებით და აზიის მატერიკზე სხვა ახლობელ ადგილებსაც არშიყული თვალით დაუწყებს ცქერას. კორეიდან იაპონიისათვის მეტათ მომხიბლველათ გამოიყურება სამხრეთი მანჯურია. საიდუმლოება აღარ არის, რომ იაპონია ძალზე ცდილობს რაც შეიძლება საფუძვლიანათ გამაგრდეს წყნარ ოკეანეს ნაპირებზე. არც საკვირველია: აქ მას ექნება საუკეთესო ბაზა და სტრატეგიული ადგილი, აქვე გააჩაღებს იაპონელ კაპიტალისტთა ნაწარმოების გასასაღებელ ბაზარს. და აი, იაპონიამ უკვე დაიწყო „ცივილიზაციის“ თესლის ჩაყრა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე. შესაძლებელია, ამ თესლებმა თავისებურათ, განსაკუთრებული და იქნებ მოულოდნელი ნაყოფიც გამოიღოს — შესაძლებელია, ეს ნაყოფი გამოდგეს საერთაშორისო შუღლის და მტრობის მომტანი, მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში, თუ, რასაკვირველია, გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

ლ. ბ.

—

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც გავიგე იაპონურ გაზეთების აზრი კორეის ანექსიის შესახებ. საქმე იმაშია, რომ კორეიაში იაპონიის კანონმდებლობის შემოღების შემდეგ იაპონიის მთავრობა მოლაპარაკებას გამართავს სახელმწიფოებთან კორეიაში უცხოელთა ექსტერიტორიალურ მდგომარეობის მოსპობის შესახებ. არსებითათ ეს კიდევ ერთი ზედმეტი ნაბიჯი იქნება კორეის ანექსიისაკენ გადადგმული, რასაც ეჭვს გარეშეა, სახელმწიფოები პროტესტით გასცემენ პასუხს. იაპონურ გაზეთებს ჭკუაში არ მოსდით იაპონიის მთავრობის საქციელი და ურჩევენ მთავრობას, რომ გონება მოიკრიბოს და იაპონიის კანონებს ჯერ-ჯერობით მხოლოთ კორეიაში მცხოვრები იაპონელები დაუქვემდებაროს, შემდეგ კი, დროსა და გარემოების მიხედვით, შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფოთა წინაშე, რომ მოსპობილ იქნას კორეიაში საელჩო იურისდიქცია. იაპონიის კანონები, როგორც ვიცით, ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა მიხედვით არის შედგენილი და ევროპიელებს მაინც და მაინც არ გაუჭირდებათ მისი დაქვემდებარება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საელჩო იურისდიქციის მოსპობა კორეიაში—ეს მძლეთამძლე იარაღის გადაცემა იქნება იაპონიის ხელში. ამას გარდა, ეს საშუალებას მისცემს იაპონელებს, რომ ხელშეუშლელათ შეავიწროვონ კორეელები. დღეს კი, კორეიაში მცხოვრები ევროპიელები ძალზე უშლიან ხელს იაპონელებს.

ლ. ბ.

# კორესპონდენციები

**ფოთი.** სამშაბათს, 4 აგვისტოს, ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საბჭოს სხდომა. სხდომას მოხსენდა ხმოსან ალექსანდრე იოსელიანის გარდაცვალება, რასაც სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ სხდომამ მოისმინა პროექტი ნახევარ კაპ. გადასახადის შესახებ, რაზედაც არჩეული იყო საბჭოსაგან განსაკუთრებული კომისია გამგეობასთან ერთათ. საბჭომ მოიწონა პროექტი და დაადგინა: შემუშავებულ წესების თანახმათ, უკანასკნელ სანქციისათვის წარედგინოს სამინისტროს. შემდეგ განიხილეს საკითხი „აფიშების“ გასაკვრელ ბოძების გაკეთების შესახებ და მათ იჯარის გაცემაზე. რადგან ფოთში არ არსებობს ამნაირი ბოძები და რადგან ამას ეჭირვება შემუშავებული წეს-რიგი, საბჭომ შეიმუშავა პროექტი, ისეთი, როგორც თფილისშია. ამის შემდეგ განხილულ იქნა მარგანეცის დამტვირთავ ელევატორის მუშაობაზე სავალდებულო დადგენილება. პროექტის თანახმათ ელევატორი დიდ შეღავათიან პირობებში აყენებს მარგანეცის მწარმოებლებს; ის იმავე დროს ნაკლებ ხარჯებს აკისრებს მწარმოებლებს. მუშაობა ხსენებულ ელევატორზე უნდა წარმოებდეს განუწყვეტლივ დღე და ღამე. ამისთვის საზღვარგარეთელ გემების ტიუმები მუდამ ღია უნდა იყოს. თუ თავიდანვე ასე წავიდა საქმე, საჭირო იქნება მუშების სამი „სმენა“. ე. ი. მაქსიმუმი 300 კაცი. ამრიგათ, ელევატორის ამუშავებიდანვე უქმდება მარგანეცის მუშაობა პლატფორმებზე (192 კაცია) და სომხების და თათრების 9 არტელი თითოეულში 40 კაცია. სულ—552 მუშა. როცა ელევატორი ამუშავდება

თავსამტვრევი კითხვა იქნება, ზემოაღნიშნულ მუშებიდან (300 კაცს, ან ნაკლებს) საიდან აიყვანებენ. ამაზე ეხლავე ბევრი მითქმა-მოთქმაა. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ქალაქის გამგეობა ადგილობრივ მკვიდრთ აძლევს სამუშაოსო; თუ ეს ასე მოხდა, მაშინ 552 მუშა (ქართველები, სომხები და თათრები) გარიყულნი დარჩებიან. თუ ეს საფრთხე აშორებულ იქნა, კითხვა მაინც გამოურკვევლათ რჩება, ვის მისცენ უპირატესობა მომუშავე 552 მუშებიდან. ყველანი ხომ საჭირო არ იქნებიან, ეს აშკარაა. მოსალოდნელია მეტათ რთული და გახლართული პერსპექტივები და ჩვენის აზრით ამ პრესპექტივებს ძალიან დაკვირვებულათ უნდა აწონ-დაწონვა, რომ თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი საქმის გართულება და თვით მუშებშივე შეხლა-შემოხლა. მთელი ძალღონით უნდა მოემზადოს ამისთვის ქალაქის გამგეობა და მუშებიც, ისინი ვისაც მართლადაც აინტერესებს მუშათა კითხვა. როგორ გადაწყდება ეს „ხლართიანი კითხვა“ ახლო მომავალი დაგვანახვებს. დაახლოვებით ელევატორი რამდენიმე თვეში ამუშავდება. პროექტი ელევატორის მუშაობაზე საბჭომ მიიღო უკანასკნელი რედაქციით და წარუდგინა ადგილობრივ პორტის სამმართველოს დასამტკიცებლათ. შემდეგ მოხდა არჩევნები ადგილობრივ საქალებო გიმნაზიის სამზრუნველოს საბჭოს წევრებისა—არჩეულ იქნენ სამი წლით 10 წევრი, ისინი, ვინც ეხლაც არიან საბჭოს წევრებათ ოლღის საქალებო სასწავლებელში. განხილულ იქნა ხმოსნების: ეგორშევის, ბაუბეუკ-მელიქოვის, გიგინეიშვილის და მაღნარაძის შეკითხვა ფოთის რკინის გზის ტოტის კონდუქტორებთა ბრიგადის ფოთიდან სადგურ სამტრედიაში საცხოვრებლათ გადაყვანაზე. რკინის გზის ადმინისტრაციას განუზრახავს ხსენებული ბრიგადები სამტრედიაში გადაიყვანოს. მიზეზი გამოურკვეველია. ამ კითხვაზე საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა, ვისთანაც ჯერ არს რომ ხსენებული კონდუქტორთა ბრიგადები დატოვებულ იქნან ფოთშივე. დასასრულ საბჭომ გამგეობის ერთ წევრს და სხვა რამდენიმე პირთ აპატივა შემოუტანელი ვალები, განხილულ იქნა რამდენიმე წვრიმალი კითხვა, და სხდომაც დაიხურა.

**ვბლიპ.**

—

**ს. წკადისი** (რაჭა). ბოლო ხანებში აქ თავი იჩინეს საზოგადოების ნაძირალებმა—ქურდ-ბაცაცებმა. ამ ვაჟბატონებმა ჯერ გაქურდეს იოსებ ენუქიძის სახლი, საიდანაც წაიღეს ქალის სამკაულები. დაზარალებულმა რჩევა სთხოვა მეზობლებს—როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ საზოგადოებამ, იმის მაგივრათ, რომ მიეღო რაიმე ზომები ქურდების აღმოსაჩენათ და მათ დასასჯელათ, დაზარალებულს სიცილი დაუწყეს შემდეგი სიტყვებით: „შენ სტყუი, თორემ ვინ მოიპარავდა ეხლა ბეჭდებს და ან როგორ შეიძლება ჩვენში მაგის ქურდი იქნესო“.

ამით გათამამებულმა ნაძირალებმა, აქ მოსიარულე მეწვრიმალე ებრაელთან ერთათ, გატეხეს სიმონ ენუქიძის სახლი და გაიტანეს ჭიქა-საინი, სამოვარი და სხვ. შემდეგ ამისა გაიტეხა წკადისის და თლუღის ეკლესიები. ყველა ესენი ეცნობა ადგილობრივ ბოქაულს, რომელმაც დაატუსაღა რამდენიმე პირი, მათ შორის ორი ბავში, რომლებიც, ზემოხსენებულ ებრაელის და სხვის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას იღებდენ იოსებ და სიმონ ენუქიძეების სახლების გაძარცვაში, რაშიაც კიდევაც გამოტყდენ, როგორც ებრაელი, ისე ბავშვებიც. ერთი დღის საპყრობილეში ყოფნის შემდეგ ყველა ზემო-აღნიშნული პირები გაანთავისუფლეს. მეორე დღეს დააპატიმრეს ეკლესიების გატეხისათვის რამდენიმე პირი და ისინიც, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, გაანთავისუფლეს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ამით წათამამებულმა ავაზაკებმა გადასწვეს ყარამან ენუქიძის დუქანი. პოლიციამ მოსთხოვა ხალხს დამწველის გაცემა ან ზარალის ანაზღაურება. საჭიროა ხალხმა თვით მიიღოს ზომა ამ ავაზაკობის წინააღმდეგ.

**ჩუმი**

## აგარაკი ბახმარო და მომხმარებელი საზოგადოება „ჯანმრთელობა“.

აგარაკი ბახმარო მდებარეობს აჭარა-გურიის მთებში ოც-და-შვიდი ვერსის მანძილზე სოფ. ვაკიჯვრიდან და იმდენივე ვერსტზე ს. ასკანიდან. რკინის გზის სადგურ ნატანებიდან მგზავრი ეტლით მიდის ოზურგეთში და იქიდან სოფ. ვაკიჯვარში. ვაკიჯვარში ეტლი ჩერდება და ამას იქით მგზავრობა ცხენით შეიძლება მხოლოდ. ეტლი ზევით აღარ მიდის. მიდიხართ თუ არა ვაკიჯვარში აქ ბლომათ იშოვით დაკაზმულ ცხენებს მგზავრთათვის და ტვირთის გადასაზიდათ. ვაკიჯვრელები ისე დახელოვნებულნი არიან მგზავრების წაყვანა-წამოყვანაში, რომ ადვილად ფულდ მიეცათ და თუ გინდა ას ცხენს 1 საათში მოგიყვანს. მხოლოდ ფული კი ძალიან შეავრებიათ. თვით წყალი. სასმელი წყალი რაა, იმაშიც ფულს მოგთხოვენ სოფლის ნარჩ-ვაჭრები, რომელთაც თავიანთი ბინა იქავე დაუდგიათ მიმავალ-მომავალ მგზავრთათვის. გზა აგარაკამდის თუმცა ყოველწლობით კეთდება, მაგრამ მიუხედავათ დიდი ხარჯისა ვაკიჯვრიდან მიმავალი გზა მაინც ისეთივე რჩება, როგორც ათი წლის წინ იყო. ამას ყურადღება მიაქცია საზოგადოებამ და დაიწყეს ახალი გზების გაყვანა. მაგ.. ასკანის საზოგადოებას სამ წელიწადზე მეტია გაყავს გზა ბახმაროში, რომელიც გაცილებით უმჯობესია და უფრო მოკლე. გზა გაყავს ბერეთვე ერკეთის საზოგადოებას და ბასილეთს. დღევანდელი გზით ბახმაროში ასვლა შეიძლება 7—8 საათის განმავლობაში. გზაზე ორ ადგილას დასასვენებელი ადგილებია, სადაც სასადილოც არის მგზავრთათვის. თუ დილის 8 საათზე წახვალთ შუადღის სამ საათზე თქვენ უკვე ბახმაროში იქნებით. ადგილ-მდებარეობა და ბუნება აგარაკისა ისეთი მშვენიერი და საზოგადოთ მარგებელია, რომ მცოდნე პირთა აზრით არც ერთ ჩვენს სააგარაკო ადგილებს არამც თუ ჩამოუვარდება, პირიქით, ზოგ მათგანს გაცილებით სჯობს. ამიტომაც არის, რომ სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში ბახმარომ ისეთი სახელი მოიპოვა, რომ მიუხედავათ შედარებით ცუდი გზისა, ყოველწლობით იმდენი ხალხი ეტანება, რომ სახლები აღარ ყოფნის და თითო ოთახში 5—10 სულამდე სცხოვრობს. პირველი სახლი აგ. ბახმაროში ყოფილმა ექიმმა ა. დავითიანცმა აშენა. მას მიბაძეს მისმა ნაცნობებმა და პაციენტებმა და სულ ათიოდე წლის განმავლობაში იმ ადგილას, სადაც მწყემსების კარვები თუ მოსჩანდა და ზოგჯერ მგზავრი თუ შეჩერდებოდა ეგრეთ წოდებული „გურიელის წყაროს“ დასალევათ, დღეს ას სამოცამდე სააგარაკო სახლებია აშენებული და 2500—3000 სული მოაგარაკე იკრიბება. დაიწყეს თუ არა ბახმაროში სახლების შენება, მაშინვე გაჩნდა სავაჭრო დუქნებიც და თუმცა სანოვაგე იშოვებოდა, მაგრამ წარმოუდგენელ დიდ ფასებში; ასე რომ, პირდაპირ შეუძლებელი იყო აღნიშნული სანოვაგით სარგებლობა: მაგ. პური იყიდებოდა 12 კ. ნავთი 12 კ. სანთელი გირ.—45 კ. და სხვ. ამის გამო რამოდენიმე საზოგადოების მოწინავე პირების თაოსნობით ბახმაროში დაარსებულ იქნა მომხმარებელი საზოგადოება „ჯანმრთელობა“.

ბევრი შრომა-ენერგია დახარჯეს ზემოაღნიშნულმა პირებმა ამ საზოგადოების დაარსებაზე და როგორც იყო, მიიღეს 1904 წელს დამტკიცებული წესდება და შეუდგენ მოქმედებას, მაგრამ მაშინვე დაწყებულმა სახალხო მოძრაობამ ახალ დაწყებულ საქმეს ხელი შეუშალა, კოოპერატივისთვის მაშინ არავის ეცალა და ბევრს არც კი ესმოდა მისი მნიშვნელობა. წევრებმა მასი საწევრო ფული უკან გაიტანეს და საზოგადოება მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, მიუხედავათ იმისა, რომ მას ქონდა უძრავ მოძრავი ქონება. მას პატრონი არ ყავდა. ყველა შემთხვევაში მოჯარე იცი წილისა ქალი—თუ კაცი მისი პატრონი იყო და როგორც სურდათ ისე განაგებდენ საქმეს. ამ არევ-დარევის დროს ვიდაც ბოროტ-მოქმედმა დასწვა საზოგადოების დიდი შენობა, რომელშიაც ბიბლიოთეკა და თეატრი იყო მოთავსებული. ასე იყო საქმე 1906 წლამდის. ამ დროს საზოგადოების გამგეობის წევრათ იყო ცნობილი ფოთელი „ბურჟუა“ ლ. მ—ძე*) თუმცა მას კიდევ ყავდა ერთი ამხანაგი, მაგრამ ამხანაგობის პატრონი ფაქტიურათ მ—ძე იყო. მან ისარგებლა უპატრონობით, „ნახა უძღლო ქვეყანა“ და მთელი ამხანაგობის სავაჭრო სახლები თითონ ჩაიგდო ხელში საწარმოებლათ. ეს სავაჭროები წლიურათ დახლოვებით 600 მანეთს იძლევიან, მაგრამ მეგრელიძის ხელში რადგან მანქანებით პირიქით, „იზარალა“ და საზოგადოებას რამოდენიმე თუმანი ვალი დაადო. დაინიშნა კრება და არჩეულმა კომისიამ მხოლოდ ის შესძლო, რომ ვალი რამოდენიმე თუმანი პირიქით მეგრელიძეს დაადო, რომელიც მას ჯერაც არ გადაუხდია და არც იხდის. ამნაირათ, ფოთელი „ქამელეონი“ ხილისთვის შემდეგ მეორეხელ „მოინათლა“ ბახმაროში. რასაკვირველია, ის მაშინვე გადაყენებულ იქნა და არჩეულ იქნა ახალი გამგეობა (დ. ცეცხლაძე, ი. ინწკვირელი, ტ. ნახარტიშვილი), მაგრამ საზოგადოების წარმოება მათ აღარ მოსწყვიათ. ტოლმაჩევმა ყურადღება მიაქცია წესდების მრავალ გზის დარღვევას და გამგეთ წინადადება მისცა კანონიერი არჩევნები მოეხდინათ და წესდების და გვარათ ემოქმედნათ. მართლაც, დანიშნულ იქნა საზოგადო კრება. შემცირებულ იქნა საწევრო ფული (1 მ. 50 კ.) ჩაეწერნენ წევრები და პირველი საზოგადო კრება განახლებული საზოგადოებისა მოხდა 16 ივლისს 1908 წ. გამგეობის წევრათ არჩეულ იქნენ დ. ზ. ცეცხლაძე, დ. ზ. თალაკვაძე და მ. ქავჟარაძე. ამასთანავე არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია, რომელმაც დიდი მუშაობის შემდეგ, როგორც იყო, სისწორეში მოიყვანა საზოგადოების მიბნეულ-მობნეული ანგარიშება და საქმის წარმოება ახალ გამგეებს გადასცა. გამოტანილ იქნა მთელი რიგი დადგენილებათა, რომელიც მომავალ წლის განმავლობაში უნდა მოეყვანა სისრულეში გამგეობას. წელს ხელახლა მოხდა საზოგადოების მორიგი წლიური კრება, რომელზედაც უნდა განხილულიყო წლიური ანგარიში და სხვადასხვა კითხვები.

გამგეობის ანგარიშიდან სჩანს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი*) უდრის 1379 მ. 64 კ. გასავალი სულ 1303 მ. 23 კ. საზოგადოებას ასესხები აქვს სხვადასხვა პირებზე 1,047 მ. 72 კ. ვალი აქვს საზოგადოებას 585 მ. 84 კ. დღევანდელი უძრავ-მოძრავი ქონება საზოგადოებისა უდრის 2937 მ. 36 კ. კრებამ განიხილა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც სჩანს, რომ გამგეობას გასული წლის განმავლობაში გულწრფელად უმუშავნია და ყველა დადგენილებები საზოგადო კრებისა სისრულეში მოუყვანია. არავითარი ბოროტ-მოქმედება არ აღმოჩენილა საქმის წარმოებაში. საზოგადო კრებამ მიიღო გამგეობის ანგარიში და კრება გადაიდო შემდეგისთვის. კრების გაგრძელება მეორე დღესვე დაიწყო. გამოიტანეს დადგენილებანი: 1) გამოყვანილ იქნას მომავალი სეზონისთვის აგარაკში სასმელი წყალი; 2) აშენებულ იქნას შენობა, სადაც მოთავსდება: თეატრი, ბიბლიოთეკა, გამგეობის კანცელიარია და ოთახები არტისტებისა და ტურისტებისათვის; 3) არჩეულ იქნას კომისია, რომელსაც მიენდოს წესდების და აგარაკის დამტკიცებაზე ზრუნვა*). აქამდე მთელი აგარაკის გამგე პატრონი და მოსამართლე იყო „ჯანმრთელობის“ გამგეობა. ყოველგვარი საქმე აგარაკის მოვლა-პატრონობაზე მას ქონდა მინდობილი. რასაკვირველია, რომ აგარაკი თანდათან იზრდება, მცხოვრებთა რიცხვი ყოველ წლობით ძალიან მატულობს, გამგეობას კი ასეთი რთული საქმეების მოწესრიგება ძალიან დიდ დროს ართმევს და იძულებულს ყოფს იზრუნოს ისეთ რამეზე, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს. კოოპერატივის მიზანი სავსებით მივიწყებულია, მას ყურადღებას არავინ აქცევს. გამგეობას აკისრებენ ისეთ ფუნქციებს, რომლის ასრულებაც მას არ შეუძლია კანონის ძალით და არც უნდა ასრულებდეს. აქამდის ეს კითხვა მივიწყებული იყო. წელს ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას და კრებამ, როგორც იყო, დაადგინა: გამგეობამ იმოქმედოს წესდების ფარგლებში და ეცადოს კოოპერატივის მიზნის განხორციელებასო. ბევრ სხვა შინაურ საქმეების განხილვის შემდეგ კრებამ გადაიდო შემდეგისთვის.

---

*) სწორედ გასაკვირია, რომ ისეთი პირები როგორც ლ. მ—ძე კიდევ სათავეში უდგებიან ისეთ საქმეს, როგორიც კოოპერატივია. რას მოასწავებს თუ არ ამრჩევლების სიბრიყვეს ის გარემოება, რომ ამ ვაჟბატონს ხიდ სთავ-ნაგომრის ეტლთა ამხანაგობის, ბახმაროს საზოგადოების „ჯანმრთელობის“ და ფოთის კოოპერატივის გაფლანგვის შემდეგ ისევ კოოპერატივის გამგეთ ირჩევენ. **ავტ.**

*) საზოგადოების სამოქმედო დრო 1 თვეს უდრის, რადგანაც დანარჩენ დროს ბახმაროში თოვლი სძევს.

*) გამგეობის წევრათ მომავალ წლისთვის არჩეულ იქნენ: ვლ. მგელაძე დ. ზ. თალაკვაძე და დ. ზ. ცეცხლაძე.

ჩვენის აზრით საზოგადოება „ჯანმრთელობა“-ს ეხლა არა უშავს-რა, თუ მას რაიმე მოულოდნელი შემთხვევა არ შეხვდა. გამგეობამ საზოგადოებისამ ყოველი ზომები უნდა იღონოს „საზოგადოება“ დააყენოს მის პირდაპირ გზაზე და გახადოს ის არა ქვედმოქმედ, სამოწყალდო საზოგადოებათ, როგორც ის ეხლა არის, არამედ ნამდვილ კოოპერატიულათ, რომლის მიზანიც დაწვრილებით აღნიშნულია წესდების პირველ განყოფილებაში. ამას გარდა, გამგეობა კარგს იზამს, რომ შეეცდებოდეს საზოგადოების მოქმედების გადმოტანას ოზურგეთში. დღეს მისი მოქმედების დრო განისაზღვრება მხოლოდ ერთი თვით—სეზონში. მაშინ კი, შეიძლება მთელი წლით, საზოგადოებაც თავის მხრივ მოღონიერდება და უფრო მეტ სარგებლობასაც მოიტანს. განსაკუთრებით ოზურგეთში არის ასეთი საზოგადოება საჭირო. ამის შესახებ აზრი უკვე ტრიალებს გამგეობისა და საზოგადოების წევრთა შორის და საზოგადოების გამგეობა ვალდებულია ეხლავე შეეცადოს ამ საქმეს, და სეზონის გათავებისათანავე შეუდგეს საქმეს რასაკვირველია, საზოგადო კრების სანქციით.

**მოაგარაკე.**

## სახლების დანგრევის გამო.

—

წავიკითხე თქვენი გაზეთის № 17 მეთაური წერილი პეტერბურგში ზალემანის სახლის ჩამოქცევის გამო. მხოლოდ აქ მარტო ზალემანები არ არიან დამნაშავე. მათთან ერთათ დამნაშავე არიან ქალაქის ინჟენრებიც, რომელთა მოვალეობას შეადგენს თვალ ყური ეჭიროთ ყველა იმ შენობაზე, რომელიც ქალაქებში შენდებიან. მარტოოდენ კაბინეთში მუშაობა და მზა-მზარეულ გეგმათა შემოწმება და წითელი ხაზებით მისი შესწორება არ კმარა; საჭიროა თვით სახლის აშენების დროს ხშირი შემოწმება და მით უბედურ შემთხვევების თავიდან აცილება, მაგრამ ეს ესე არ ხდება. თითქმის ყოველთვის სახლი შედგენილ გეგმის თანახმათ არ კეთდება, ხშირათ ორი სართულის მაგიერ—სამი და ოთხი შენდება, არშინიან კედლის მაგიერ—ნახევარს აკეთებენ, თაღების შეკვრის დროს შესაკრავ რკინებს არ ატანებენ; ამას თხოულობს პატრონის ეკონომია, ხოლო ხანდისხან რომ უბედურობა დატრიალდება ხოლმე, ამისათვის თავს არავინ იტკენს.

მაგალითათ, საალმშენებლო კანონის მე-24 მუხლი ამბობს, როცა რომელიმე ქუჩაზე სახლი შენდება, მისი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ქუჩის სიგანის ზომას და მის ერთ მეოთხედ ნაწილს. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ, როცა მაგალითად ქუჩას 4 საჟენი სიგანე აქვს იმაზედ შეიძლება აშენდეს სახლი სიმაღლით 5 საჟენი; ცხადია, კანონმდებლებს აზრათ ჰქონდათ, რომ ვიწრო ქუჩებში შეუსაბამო სიმაღლის სახლი არ აშენებულიყო და მით ქუჩებში ჰაერი არ შეხუთულიყო და ქვედა სართულები არ დახშულიყო. ახლა მიბრძანდით თფილისის ვიწრო ქუჩებზე და ნახეთ: ხშირათ შევხვდებით რომ ქუჩას სიგანე ერთი ან ორი საჟენი აქვს, ხოლო სახლები ორთავ მხარეს 3—4 სართულებია. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ჩვენში ქვედა სართულებში კაცი სულს ძლივს ითქვამს და ათასგვარი სატკივრები შესაფერ ნიადაგს და ბუდეს პოულობს.

ვინ უნდა აღასრულოს ესეთი კანონი? რასაკვირველია, ქალაქის არქიტექტორებმა. დრო კია ბოლო მოეღოს ასეთ უსწორ-მასწორობას.

შარშანწინ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს თფილისში, წყნეთის ქუჩაზე ინჟენერ მირზოევის სახლი დარჩა, სახლი 5 სართულიანი, უკანასკნელ მიწის ძვირისაგან ერთი ფლიგელის კედელმა განზე გადიწია, პირველის ნაწილის ბოქაულმა ბ. ვასილევმა ამავე ნაწილის არქიტექტორ ზურაბიანცის თანადასწრებით ხსენებულ ბანკს ოქმი შეუდგენა, სადაც სწერია: „თაღები რკინებით არ ყოფილა შეკრულიო“. დავეკითხოთ თვითონ არხიტექტორს რატომ, როცა ეს სახლი შენდებოდა, არ შეაკვრევინა რკინეებით, ის ხომ, ამ ნაწილის არქიტექტორი ბრძანდებოდა, ან არა და მისი ყოველი სახლის პატრონიც ხომ ინჟინერია და თუ რკინები საჭირო იყო, რათ არ გაუკეთა?

ჩვეულებრივზე მეტი მიწის ძვრა რომ ყოფილიყო, ხომ იმაზე მეტი უბედურობა დატრიალდებოდა რაც მოხდა პეტერბურგს!

ქუჩის სივიწროვის გამო აქ ორ სართულიანი სახლი უნდა აშენებულიყო და არა ხუთიანი, ვინ მისცა ნება ინჟინერ მირზოევს ამის აშენებისა, და თუ არქიტექტორ ზურაბიანცმა დარღვევა ნახა, მას აღარ უნდა ეკისრნა ქუთაისის ბანკზე ოქმების წერა, არამედ ჯერ თავათ უნდა ეკისრნა მთელი ეს ბრალდება და აგრეთვე ბატონ მირზოევისათვის დაეკისრებინა მისი შესწორება.

სანიტარული მზრუნველი ტეხნიკოსი

**გიგო თოიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! რადგან მე მნიშვნელობას არ ვაძლევ ისეთ თანაგრძნობის გამოცხადებას, როგორიც გვირგვინია და სხვა, ამისათვის გიგზავნით 5 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ, დაუვიწყარ პუბლიცისტ სევერიანე ჯუღელის სახსოვრათ, მის ოჯახობას.

**ნორდი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910 ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს 13 წ. (12 ს. 11 წ.).


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მაცრისოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—9)

## სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას ვაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—19



## ა ლ მ ე ზ ა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—7